N გ-21-08/2168
22/07/2021

2168-გ-21-08-2-202107221740

სს „სილქნეტს“

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში „კომისია“) 2020 წლის 28 დეკემბერს თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნა Analysys Mason-ის კითხვები (წერილის კომისიაში რეგისტრაციის ნომერი შ-20-6/6512) კომისიის დაკვეთით „EY“ მიერ მომზადებულ ანგარიშთან - „მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის შემოსვლის ბიზნეს სცენარების შეფასება და ტელეკომუნიკაციის ბაზარზე გავლენის ანალიზი“ - დაკავშირებით. გთხოვთ, აღნიშნულ კითხვებზე კომისიის პასუხები იხილოთ თანდართულ ფაილში (დანართი #1).

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე ეტაპზე მობილური ქსელის მფლობელი სამივე ოპერატორის მიერ გამოთქმულია მზაობა, მობილურ ქსელზე დაშვების მსურველი ავტორიზებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს მსურველი ავტორიზებული პირის დაშვებასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, თუ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორების მიერ მოხდება მომსახურების ბაზრის გახსნა და მსურველ MVNO-ებთან კომერციული მოლაპარაკების წარმოება და აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნება MVNO-ს დაშვების და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების პრეცედენტი, კომისიას შესაძლებლად მიაჩნია განიხილოს კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის #გ-20-9/156 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი. აღნიშნული პოზიცია კომისიამ არაერთხელ დააფიქსირა როგორც ფორმალურ კომუნიკაციაში აღნიშნულ ოპერატორებთან, მათ შორის სს „სილქნეტთან“, ასევე სხვადასხვა საჯარო განცხადებაშიც.

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144

+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25